უპირატესობა თბილისელებს ჰქონდათ

მოსკოვი. ვ.ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 3 ივლისი.

“ტორპედო” (მოსკოვი) - “დინამო” (თბილისი) - 0:0.

“ტორპედო”: ლაიზანი, იანეცი, პახომოვი, კრასნოვი, ჰაისი, ჩუმაკოვი, ლენიოვი, სტრელცოვი, შალიმოვი, გერშკოვიჩი (ნიკონოვი). მიხაილოვი (სავჩენკო).

“დინამო”: ურუშაძე, რეხვიაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ძოძუაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე (ილიადი), ასათიანი, გავაშელი, გ. ნოდია, ლ. ნოდია (მეტრეველი).

მსაჯი: პ. გავრილიადი (სოჭი).

დუბლიორები - 2:1 “დინამოს” სასარგებლოდ.

“ტორპედო” - “დინამო” (თბილისი). აქაური მაყურებელი მუდამ განუზომელი ინტერესით ელის ამ ორი გუნდის შეხვედრას, ვინაიდან იცის, რომ ნახავს ნამდვილ თამაშს, დიდ ფეხბურთს... ახლა ტორპედოელთა ბრძოლას თბილისელებთან განსაკუთრებულ სიმწვავეს მატებდა ის, რომ გათამაშების ცხრილში იწერებოდა “ოქროს ქულები”, რომლებიც ორივე გუნდს საბოლოოდ რჩება ფინალისთვის.

და მატჩიც ტრადიციის შესაბამისი გამოდგა: მაღალი ტემპი, მწვავე ბრძოლა, უმაღლეს ტექნიკურ დონეზე შესრულებული ილეთები...

ქართველ გულშემატკივრებს ალბათ აინტერესებთ, თუ როგორ შეფასებას ვაძლევთ ჩვენ, მოსკოველები, ამ მატჩს, რა თვალით ვუყურებთ ახლანდელ თბილისის “დინამოს”.

სიტყვა “ახლანდელს” ვხმარობთ იმიტომ, რომ თბილისის წლევანდელი “დინამო” ძალიან ძლიერად თამაშობს და სავსებით დასაბუთებული პრეტენზიები აქვს მოხვდეს პრიზიორთა შორის. ასეთი იყო იგი 3 ივლისსაც. საუკეთესო მეკარე, ჩინებულად შეთამაშებული დაცვა, აგრესიული ნახევარდაცვა და სწრაფი, კომბინაციური თავდასხმა. სტრელკოვი საიმედოდ ჩაკეტა ხურცილავამ, რომელიც სულ მცირე შესაძლებლობის შემთხვევაშიც კი თამამად ტოვებდა ამ მრისხანე ფორვარდს და თვითონ იქცეოდა თავდამსხმელად.

უფლებას ვაძლევთ ჩვენს თავს ვთქვათ, რომ მატჩის სანახაობრივი მხარე შექმნეს სწორედ დინამოელებმა, რომლებიც უფრო აქტიურნიც იყვნენ და უფრო ძლიერნიც. ეს არ ნიშნავს, რომ “ტორპედო” განწირული იყო და პასიურად “ებღაუჭებოდა” ფრეს. არა, მასაც ჰქონდა სახიფათო, მწვავე მომენტები, დატვირთვა ურუშაძესაც დააწვა და თბილისელთა მცველებსაც... მაინც უმთავრესი ამბები “ტორპედოს” კართან ხდებოდა, ნამდვილი საგოლე მომენტები აქ იყო. მარტო გ. ნოდიას ჰქონდა ორი ისეთი შესაძლებლობა, რომლებიც, როგორც წესი, გოლით მთავრდება.

0:0 მოსკოვის “ტორპედოსთვის” ყველაზე უკეთესი გამოსავალი იყო ამ მატჩში. რაც შეეხებათ თბილისელებს, მათ ახლა ისღა დარჩენიათ, რომ ასევე შესანიშნავად ითამაშონ “სპარტაკთან”.

ვ. პავლოვი (ტელეფონით, ჩვენი კორ.).

“ლელო”, 5 ივლისი, 1969 წ.